საქართველოს ტყის ხანძარსაშიში უბნების განსაზღვრა და შეფასება ტყის პირველი ეროვნული აღრიცხვის მონაცემების გამოყენებით

შოთა წიკლაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ბუნების დაცვა და მეტყევეობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბი ჯანიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

სარჩევი

განაცხადი III

აბსტრაქტი IV

1. შესავალი 1

1.1 ლიტერატურის მიმოხილვა 4

1.2 კვლევის მიზანი 10

2. საკვლევი თემის მასალები და მეთოდოლოგია 11

2.1 ხანძარსაშიშროების კლასიფიკაციის მეთოდოლოგია 12

2.2 ტყის ეროვნული აღრიცხვის მონაცემების ანალიზი 13

3. შედეგები 15

3.1 საქართველოში ხანძარსაშიშროების კლასების სივრცული განაწილება 19

3.2 ხანძარსაშიში უბნების კავშირი ისტორიულ ხანძრების მონაცემებთან 22

4. დისკუსია/მსჯელობა 24

5. რეკომენდაციები 26

6. მადლობა 28

7. ბიბლიოგრაფია 29

7.1 გამოყენებული ინტერნეტ წყაროები 32

განაცხადი

„სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ წარდგენილი ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

შოთა წიკლაური

20.01.2025

აბსტრაქტი

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი ეხება ტყის ხანძარსაშიში უბნების განსაზღვრასა და შეფასებას ეროვნულ დონეზე ტყის პირველი ეროვნული აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე.

ქვეყნის დონეზე შეფასდა ტყის ხანძარსაშიშროების ხუთი კლასი, რომლის განსაზღვრის მეთოდოლოგიაც საქართველოს მთავრობის ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ დებულებაშია განსაზღვრული. განხორციელდა ხანძარსაშიშროების კლასების მეთოდოლოგიისა და ტყის პირველი ეროვნული აღრიცხვის ნედლი მონაცემების გაანალიზება. ამ მიდგომამ შექმნა შესაძლებლობა საქართველოს მასშტაბით დადგენილიყო ტყეების ხანძარსაშიში უბნების გავრცელება და მათი კანონზომიერებების დადგენა რეგიონების დონეზე.

რეგიონების მიხედვით შესაბამისი კანონზომიერების დასადგენად გაანალიზდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები ტყის ხანძრების შესახებ და შეფასდა სამაგისტრო ნაშრომის შედეგებთან ერთად.

სამაგისტრო ნაშრომის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოს ხანძარსაშიშროების I კლასი უმეტესწილად მაღალმთიან ტყეებში გვხვდება და საჭიროებს ტყის მართვის დონის ინვენტარიზაციების დროულ განხორციელებას, რათა დაიგეგმოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ხანძრებისგან დაცვის პრევენციული ღონისძიებები.